პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 125 (10822) | ოთხშაბათი, 29 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ვ. პ. მჟავანაძემ.

დღეს სესია მუშაობას განაგრძობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

გუშინ, 28 მაისს მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, გარდა დეპუტატებისა, არიან სტუმრები — საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავე მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სესია შეიკრიბა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის საყოველთაო სახალხო მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში. საქართველოს მშრომელები მონაწილეობენ სახელოვანი ისტორიული თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში და თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

მათ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, მხურვალედ მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამას წინათ დამთავრებული მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ. მეურნეობის მართვის გარდასაქმნელად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ინიციატივით შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელება კიდევ უფრო ფართო ასპარეზს აძლევს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, ხელს შეუწყობს საბჭოთა ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას.

საღამოს 6 საათზე გაიხსნა პირველი სხდომა. თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. დ. კუპრაძე.**

მთავრობის ლოჟებში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები, აქვე უკავიათ ადგილები ამხანაგებს **ვ. პ. მჟავანაძეს, გ. დ. ჯავახიშვილს, მ. დ. ჩუბინიძეს, ი. ი. ფედიუნინსკის, პ. ვ. კოვანოვს, დ. ვ. მჭედლიშვილს, გ. ი. ქადაგიძეს, მ. ი. კუჭავას, ზ. ა. კვაჭაძეს, ა. ნ. ინაურს, მ. მ. ლელაშვილს.**

მტკიცდება სესიის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. დ. კუპრაძე** მოხსენებისათვის „საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სიტყვას აძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დეპუტატ **ვ. პ. მჟავანაძეს.**

მომხსენებელი ამბობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნას, რომელიც ამჟამად ხორციელდება და რომელიც ერთსულოვნად მიიწონა ჩვენმა ხალხმა. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების ფართო განხილვამ ახალი ძალით გამოავლინა საბჭოთა წყობილების ნამდვილი დემოკრატიულობა, პარტიის, მთავრობისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული კანონი „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სავსებით შეესაბამება მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ლენინურ პრინციპებს.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის ახალი ფორმების შემოღება ხელს შეუწყობს საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს, საქართველოს სსრ, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა მნიშვნელოვან გაფართოებას.

მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებული საქართველოს მშრომელები კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს იწყებს დეპუტატ **ვ. პ. მჟავანაძის** მოხსენების განხილვას „საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“. კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა **ო. დ. გოცირიძემ** (ქ. ქუთაისის მალენკოვის საარჩევნო ოლქი), **ა. ე. მელაძემ** (ჭიათურის რაიონის ზოდის საარჩევნო ოლქი), აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. დ. თხილაიშვილმა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია 29 მაისს განაგრძობს მუშაობას.

(საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. ა. კოვპაკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ს. ა. კოვპაკის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურებისათვის ამხ. სიდორ არტემის-ძე კოვპაკი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
კ. ოზოლინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 25 მაისი.

ჩაის კრეფაში დაწინაურებულნი

27 მაისი

ჩოხატაურის რაიონი

ეთერ მამალაძემ სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 148 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა. სულ 0,7 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 1.800 კილოგრამი ჩაი. მისი ვალდებულებაა წელს სეზონში მოკრიფოს 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

მარგარიტა დუმბაძე ამავე კოლმეურნეობაში მუშაობს. მან მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ნედლეული. მას ვალდებულება აქვს ნაკისრი 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 4.000 კილოგრამი ნედლეული. უკვე მოკრეფილი აქვს 1.000 კილოგრამი.

შურა ცინცაძე მუშაობს სოფელ გორაბერეჟოულის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მისი ვალდებულებაა 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 5.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული. უკვე მოკრეფილი აქვს 1.200 კილოგრამი.

გალის რაიონი

ბუცა შამათავამ სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 20 კილოგრამისა. სულ მოკრეფილი აქვს 1.000 კილოგრამი. იგი იბრძვის 1 ჰექტარზე 8.000 კილოგრამი ჩაის ნედლეულის მიღებისათვის.

ნათელა ყალიჩავა მუშაობს სოფელ აჩიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 62 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 20 კილოგრამისა. მისი ვალდებულებაა 0,5 ჰექტარზე მიიღოს 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 767 კილოგრამი.

იმენა ბულისკერიამ მოკრიფა 79 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით დღიურ დავალებას 59 კილოგრამით გადააჭარბა. მას ვალდებულება აქვს ნაკისრი სეზონში ჰექტარზე მოკრიფოს 8.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გათუმის რაიონი

დარიკო ვარშანიძემ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 105 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მას ვალდებულება აქვს ნაკისრი 0,8 ჰექტარზე მიიღოს 2.125 კილოგრამი. მაისის გეგმით გათვალისწინებული 493 კილოგრამის ნაცვლად უკვე მოკრიფა 550 კილოგრამი ჩაი.

მერი ქოქოლაძე მუშაობს სოფელ მახოს უდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 45 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 25 კილოგრამისა. მაისის გეგმით უნდა მოეკრიფა 594 კილოგრამი, მოკრიფა 770 კილოგრამი.

შუშანა ბაკურაძემ გონიოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 43 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 27 კილოგრამისა. გეგმით მაისში უნდა მოეკრიფა 566 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მოკრიფა 640 კილოგრამი.

შეიქმნა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მუშაობის გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შექმნა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან.

კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. დ. ი. ჩესნოკოვი.

კ ო მ უ ნ ი კ ე

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფერიჭორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების დადების შესახებ

ბუდაპეშტი, 27 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა 1957 წლის 28 მარტის ერთობლივ დეკლარაციაში ორივე მთავრობამ განაცხადა, რომ არსებულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა ჯარების ყოფნა უნგრეთში მიზანშეწონილია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ერთობლივი თავდაცვა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილეთა შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ და შეესაბამება საერთაშორისო ხელშეკრულებებს. მთავრობები შეთანხმდნენ დადონ შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივ სტატუსს. ამასთან დაკავშირებით ბუდაპეშტში გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგე ი. კ. ზამჩევსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო-სამართლის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ნ. ნიკოლაევი, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე იუსტიციის პოლკოვნიკი კ. ნ. ნოვიკოვი.

უნგრეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იმრე ხორვატი (დელეგაციის ხელმძღვანელი), უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი გეზა რევესი, გენერალ-მაიორი ფერენც უგრაი, გენერალური სამხედრო პროკურორი პოლკოვნიკი პალ კიშპალი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო-სამართლის განყოფილების უფროსი ენდრე უშტორი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილე იშტვან შუბიკი.

გარდა ამისა, მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტების სახით:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ნ. ნ. სიკაჩოვმა, დ. ვ. ბიკოვმა, ვ. ნ. კელინმა, პოდპოლკოვნიკმა პ. ვ. კუზმინმა.

უნგრეთის მხრივ — იშტვან ბანმა, შანდორ დიერკემ, იოჟეფ ნემეტმა, პოდპოლკოვნიკმა იშტვან დიერდმა, პოდპოლკოვნიკმა იშტვან პოლაკმა, პოდპოლკოვნიკმა ტიბორ ეგრიმ.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ამ მოლაპარაკების შედეგად 1957 წლის 27 მაისს ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებას უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და თავდაცვის მინისტრმა გ. კ. ჟუკოვმა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა მინისტრმა იმრე ხორვატმა და თავდაცვის მინისტრმა გეზა რევესმა.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ე. ი. გრომოვი, საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე იანოშ კადარი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფერენც მიუნიხი, სახელმწიფო მინისტრი დიერდ მარაშანი, სახელმწიფო კრების თავმჯდომარე შანდორ რონაი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბელა ბისკუ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მდივანი იშტვან კრიშტოფი, აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრები, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

რიგის მშრომელთა დელეგაცია თბილისში

თბილისში მყოფი რიგის მშრომელთა დელეგაცია 26 მაისს გაემგზავრა ბორჯომში. სტუმრებმა დაათვალიერეს ბორჯომის ხეობის დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, იყვნენ მაღალი მთის კურორტ ბაკურიანში.

მეორე დღეს დელეგაცია დაიყო ჯგუფებად და განაგრძობდა თბილისის საქალაქო მეურნეობის გაცნობას. რიგელ მშენებელთა ჯგუფმა დაათვალიერა ქალაქის უდიდესი მშენებლობანი. გაეცნო რა მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს, რომლებსაც იყენებენ დიდბლოკებიანი სახლების მშენებლობაზე საბურთალოში, ტრესტ „რიგმშენის“ მშენებელთა ბრიგადირმა ნ. ჩესნოკოვმა თქვა:

— თბილისელ მშენებელთა მუშაობის გამოცდილება, რომლებიც აგებენ დიდი ბლოკების სახლებს, უნდა დავნერგოთ რიგის მშენებლობებზე. გამოცდილების ურთიერთგაზიარება დაეხმარება ორივე ქალაქის მშენებლებს ახალ წარმატებათა მიღწევაში.

სტუმრები იყვნენ აგრეთვე სანრეწველო საწარმოებში, სამკურნალო დაწესებულებებში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში.

დელეგაციის წევრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

ფაბრიკა „საქტრიკოტაჟში“ გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმებას ამ საწარმოს კოლექტივსა და ქალაქ რიგის სატრიკოტაჟო ფაბრიკა „სარკანაის რიტსს“ შორის.

— შეჯიბრება თბილისისა და რიგის მეტრიკოტაჟეთა შორის, რომელიც გაჩაღდა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების პერიოდში, — თქვა მიტინგზე გამოსულმა „სარკანაის რიტსის“ პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ზახვატალოვამ, — კიდევ ერთი მაგალითია საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

რიგის მშრომელთა დელეგაციამ ინახულა ლატვიელი ხალხის სახელოვანი შვილის, სამოქალაქო ომის გმირის, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანამებრძოლ ი. ფ. ფაბრიციუსის საფლავი, რომელიც დაკრძალულია სკვერში სურათების სახელმწიფო გალერიის ფასადის კედელთან რუსთაველის პროსპექტზე. დელეგაციამ გვირგვინით შეამკო საფლავი. გვირგვინის ლენტზე არის წარწერა: „ლატვიელი ხალხის სახელოვან შვილს იან ფრიცის-ძე ფაბრიციუსს. ქალაქ რიგის მშრომელთა დელეგაციისაგან“.

საღამოს დელეგაციის წევრები იყვნენ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მთაწმინდაზე. (საქდესი).

თბილისიდან გაემგზავრა რიგის მშრომელთა დელეგაცია

ცხრა დღეს იმყოფებოდა თბილისში რიგის მშრომელთა დელეგაცია. სტუმრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ეკონომიკას, კულტურას, მის საქალაქო მეურნეობას, იყვნენ ქალაქის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში. დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

28 მაისს რიგის მშრომელთა დელეგაცია ლატვიაში გაფრინდა. სტუმრები აეროდრომზე გულთბილად გააცილეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნებმა ნ. ე. ჭახრაკიამ და ს. კ. ჩხარტიშვილმა, ქალაქის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, მშრომელების წარმომადგენლებმა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, რიგის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. პ. ლეცისმა საქდესის კორესპონდენტს გაუზიარა დელეგაციის შთაბეჭდილებანი თბილისში ყოფნის შესახებ. ამხ. ლეცისმა თქვა:

— ქართველი ხალხი განთქმულია სტუმართმოყვარეობით, ეს ჩვენს თავზე გამოვცადეთ თქვენს მშვენიერ ქალაქ თბილისში ყოფნის დღეებში. რიგის მშრომელთა წარმომადგენლებს ყველგან ისე ხვდებოდნენ, როგორც უახლოეს ძვირფას სტუმრებს. ჩვენ გავეცანით საქართველოს დედაქალაქის ეკონომიკასა და კულტურას, ვიყავით საწარმოებში და უდიდეს მშენებლობებზე. დელეგაციის წევრებმა თბილისის მშრომელებს გაუზიარეს სამრეწველო საწარმოთა მუშაობის, მეურნეობის გაძღოლის გამოცდილება. თბილისის მშრომელებისაგან ბევრი ძვირფასი რამ გადავიღეთ.

ახლა ერთბაშად ძნელია თქმა, თუ რას დავნერგავთ რიგაში თბილისის მშრომელთა გამოცდილებიდან. მაგრამ ჩვენ, მაგალითად, ძლიერ მოგვეწონა ზრუნვა ქალაქის მწვანე სამოსისათვის, მისი სამრეწველო საწარმოები. თქვენგან გადავიღებთ აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებში მუშებისათვის ღამის სანატორიუმების მუშაობის ორგანიზაციის გამოცდილებას.

თბილისისა და რიგის მშრომელთა შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკების მოძმე ხალხთა ახალი წარმატებების მოპოვებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ახლა, როცა რიგასა და თბილისს შორის შეჯიბრება უკვე გაჩაღდა, ამოცანა ის არის, რომ გავაფართოოთ იგი, გავხადოთ ქმედითი, მასში ჩავაბათ ყველა მშრომელი, მივაღწიოთ იმ ვალდებულებათა უთუო შესრულებას, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ვიკისრეთ.

(საქდესი).

2 ივნისს გაიხსნება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენები

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენების მთავარმა კომიტეტებმა მიიღეს გადაწყვეტილება გახსნან 1957 წლის გამოფენები კვირას, 2 ივნისს.

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ცაგერის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი **თ. ტვილდიანი,** ამბროლაურის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. ჭელიძე,** ბორჯომის რაიონის სოფელ კორტანეთის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი **გ. ბლიაძე,** მარნეულის რაიონმასკომის თავმჯდომარე **ჯ. მამედოვი,** ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მნგრეველი **ტ. ფოფხაძე,** ადიგენის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი **თ. გველესიანი,** გალის რაიონის კოლმეურნეობა „გიგანტის“ თავმჯდომარე **ი. ახალაია,** სტალინირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ი. ქრისტესიაშვილი,** თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ზეინკალი **პ. მუხიგულაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებიდან

ამხანაგო დეპუტატებო!

ამას წინათ იუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შეტანილი საკითხი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

მთელ თავიანთ ღონისძიებებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ ხალხთან მჭიდრო კავშირით, ხალხზე დაყრდნობით, ხალხის სრული მხარდაჭერით. ამჯერადაც, სახავდა რა მეურნეობის განვითარების ხელმძღვანელობის ფორმების ძირეულ ცვლილებებს, პარტიამ მიმართა ხალხს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას წინ უძღოდა „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა.

საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოჰქონდათ რა ეს საკითხი, პარტია და მთავრობა ხელმძღვანელობდნენ ჩვენი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მითითებით, რომელიც გვასწავლიდა: „...ჩვენ შეგვიძლია ვმართოთ მხოლოდ მაშინ, თუ სწორად გამოვხატავთ იმას, რაც შეგნებული აქვს ხალხს“.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას — ფართოდ და ყოველმხრივ განეხილათ სახალხო მეურნეობის განვითარების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებანი. საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს დიდ ქვეყანაში, მშრომელთა ხალხმრავალი კრებები მიმდინარეობდა საქმიანად, მაღალი შემოქმედებითი აქტივობის ვითარებაში.

თეზისების განხილვამ ჭეშმარიტად მასობრივი, საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში გაიმართა 6.250-ზე მეტი კრება, რომელებსაც დაესწრო 740 ათასზე მეტი კაცი, მათგან კამათში გამოვიდა 30 ათასამდე. პლენუმებს, აქტივებსა და თათბირებს დაესწრო 22 ათას კაცზე მეტი და კამათში გამოვიდა 900-მდე კაცი.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ფორმების შემდგომი სრულყოფის საკითხებს ფართოდ აშუქებდა რესპუბლიკის პრესა, რომლის ფურცლებზე გამოქვეყნდა 2 ათასამდე სტატია, წერილი, წინადადება.

ერთსულოვნად იწონებდნენ და მხურვალედ უჭერდნენ რა მხარს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს მრეწველობისა და მშენებლობის დარგში, საქართველოს მშრომელები მკაცრად, პრინციპულად აკრიტიკებდნენ მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, დაგეგმვის ორგანოების მუშაობას, შემოჰქონდათ ძვირფასი წინადადებანი. ამ წინადადებებში მუშებმა, სპეციალისტებმა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკებმა გამოიჩინეს სახალხო მეურნეობის რთული საკითხების ღრმა ცოდნა და სახელმწიფოებრივი მიდგომა მათი გადაწყვეტისადმი. ამ წინადადებებში გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დიდმა გამოცდილებამ, მათმა მისწრაფებამ დაეხმარონ პარტიასა და მთავრობას მეურნეობის განვითარების ხელმძღვანელობის ყველაზე სწორი, ეფექტიანი და მოქნილი ფორმების გამონახვაში.

ამ აქტივობასა და პარტიის ღონისძიებებისათვის მხარდაჭერაში თავი იჩინა პარტიისა და ხალხის ერთიანობამ. თეზისების განხილვა საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ბაკაფიო დემონსტრაცია, დიდი ლენინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია იყო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოხსენებით „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. თავის მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოგვცა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, განაზოგადა სახალხო მეურნეობის განვითარების ხელმძღვანელობის ფორმების შემდგომი გაუმჯობესების საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები, დაახასიათა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის მიერ მიღწეული უდიდესი წარმატებანი. ამასთან ერთად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკრიტიკა მეურნეობის განვითარების ხელმძღვანელობის წინანდელი ფორმების ნაკლოვანებანი და ყოველმხრივ, ღრმად დაასაბუთა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახლებურად მოწყობის საჭიროება.

გამოვიდნენ რა კამათში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ ღონისძიებებს. თავიანთ გამოსვლებში ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გარდაქმნა ნაკარნახევია სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ინტერესებით, იგი შეესაბამება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ინტერესებს და გამოიწვევს ყველა მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალ აყვავებას.

განხილვის შედეგად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ერთხმად მიიღო კანონი „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რომელსაც ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს და მოასწავებს ახალ ეტაპს მთელი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

ამ კანონის პირველ მუხლში ნათქვამია:

„მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფის დარგში, რომლებმაც ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვეს საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში და რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობის უზრუნველყოფა, სამეურნეო მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოება, ხელმძღვანელობის მიახლოება წარმოებასთან, მშრომელი მასების კიდევ უფრო ფართო მონაწილეობა წარმოების მართვაში, კომუნისტურ მშენებლობაში მათი შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარება“.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მუშაობა თვალნათლივ მოწმობს საბჭოთა სოციალისტური წყობილების ნამდვილ დემოკრატიზმსა და უღრმეს ხალხურობას, წყობილებისა, რომელშიც ხალხი თავისი ქვეყნის ნამდვილი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია, აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მართვაში.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს. მათ კარგად ესმით, რომ ეს გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირის იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის უსწრაფესად გადაწყვეტას, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ქართველ ხალხს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით განახორციელონ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, უთუოდ განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მუშაობამ ზღვრული დამაჯერებლობით ცხადყო, რომ დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით წარმოების მართვის არსებულ ფორმებს სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. ერთ-ერთ დიდ ნაკლს წარმოადგენს უწყებრივი ბარიერების არსებობა, რომლებიც იწვევენ ნორმალური საწარმოო ურთიერთობის შესუსტებას, ხოლო ხშირად დარღვევასაც სხვადასხვა სამინისტროთა საწარმოებს შორის, რომლებიც ერთსა და იმავე ქალაქში ან ეკონომიურ რაიონში მდებარეობენ. ცენტრიდან მართვის დროს დიდი ხნით ფერხდება სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა. ამაში ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებიდან აღებული მაგალითებითაც.

ჩვენს რესპუბლიკას დიდი ჰიდრორესურსები აქვს; იაფი ელექტროენერგიის მიღების შესაძლებლობანი თითქმის განუსაზღვრელია. მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რესპუბლიკა განიცდის ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს, რაც ადგილობრივი პირობების არასაკმაოდ გათვალისწინებისა და დაგეგმვის შეცდომების, აგრეთვე მშენებლობის ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებების შედეგი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროენერგორესურსების მიხედვით ჩვენ ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიჭირავს ჩვენს ქვეყანაში, ელექტროენერგიის გამომუშავება ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში მხოლოდ 555 კილოვატ-საათს შეადგენს, მაშინ როცა მთლიანად საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე გამომუშავება შეადგენს 851, ხოლო ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში — 1.300-ზე მეტ კილოვატ-საათს.

ელექტროენერგიის გამომუშავებაში შექმნილი მდგომარეობა არა მარტო აფერხებს წარმოების ზრდას, არამედ კიდევაც ზღუდავს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა სიმძლავრეების მაქსიმალურ გამოყენებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო არაერთხელ მიაქცევდნენ საკავშირო სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყურადღებას რესპუბლიკაში ენერგომეურნეობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე, მაგრამ ამ საკითხმა დადებითი გადაწყვეტა ვერ ჰპოვა.

ჩვენი ქვანახშირის მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას როგორც საკოქსე კონცენტრატზე, ისე ენერგეტიკულ ქვანახშირზე. ამიტომ გეგმით ყოველწლიურად შემოგვაქვს დონბასიდან 1 მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი, მაშინ როცა საქართველოს წიაღში ქვანახშირის დიდი მარაგია. მაგრამ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო არ გამოჰყოფდა საჭირო სახსრებს ახალი შახტების მშენებლობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შახტების მშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებებს მალე აანაზღაურებდა ქვანახშირის დიდ მანძილზე ზიდვის შემცირებით მიღებული ეკონომია.

ცენტრიდან არასწორი დაგეგმვის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას 200 კილომეტრით არის დაშორებული, კოქსქიმიურ პროდუქციას იღებს უკრაინის ქარხნებიდან და ქვანახშირის ზიდვაზე ზედმეტად ხარჯავს ასეულ ათასობით მანეთს. იგივე ქარხანა კვარციტს იღებს როსტოვის ოლქიდან, მაშინ როცა 30 კილომეტრ მანძილზე კვარციტის შემცველის — ხალცედონის დიდი მარაგია. გარდა ამისა, შავი მეტალურგიის სამინისტრომ დღემდე ვერ გადაჭრა შედარებით არართული საკითხი ფეროშენადნობთა ქარხნის მექანიზებული კარიერის მოწყობისა, რაც შესაძლებელს გახდიდა წელიწადში დაგვეზოგა 30 მილიონი მანეთი სახელმწიფო სახსრები.

საკავშირო დაქვემდებარების სხვადასხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ, სუსტად არიან დაკავშირებული ან სულაც არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ საწარმოთა დატვირთვა ხდება ვიწროუწყებრივი ამოცანების მიხედვით, ამის შედეგად მათი სიმძლავრეები და რეზერვები ხშირად გამოუყენებელი რჩება.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი, რომელსაც რკინაბეტონის ნაწარმის დასამზადებელი რესპუბლიკაში ერთადერთი კომბინატი აქვს, მთელი რიგი წლების განმავლობაში სრულად ვერ იყენებს მის სიმძლავრეს, ამ ტრესტის ბეტონის კომბინატი კი, რომლის სიმძლავრე წელიწადში 20 ათასი კუბმეტრია, უშვებს მხოლოდ 9-10 ათას კუბმეტრ რკინაბეტონის ნაწარმს, მაშინ როცა სხვა სისტემების სამშენებლო ორგანიზაციები ამ ნაწარმის დიდ ნაკლებობას განიცდიან.

საქართველოში საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური ორგანიზაციების 5.200-ზე მეტი დამოუკიდებელი ავტომეურნეობაა. მათს უდიდეს ნაწილს მხოლოდ რამდენიმე ავტომანქანა აქვს. უწყებრივი ნიშნების მიხედვით ავტომეურნეობათა ასეთი დაქაოსურობა იწვევს არსებული ავტოტრანსპორტის არარაციონალურ გამოყენებას, მის შენახვაზე სახელმწიფო სახსრების დიდ ხარჯვას.

სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებს სამშენებლო ორგანიზაციების დაქსაქსულობა. ამჟამად რესპუბლიკაშია 19 სამშენებლო ტრესტი, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების 7 ტრესტი, საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების 11 ტრესტი და რესპუბლიკური დაქვემდებარების 1 ტრესტი. გარდა ამისა, მშენებლობას აწარმოებს კიდევ 13 დამოუკიდებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, თუ არ ჩავთვლით სხვა სპეციალიზებულ სამშენებლო ორგანიზაციებს.

ყოველივე ეს იწვევს სახსრების დაქაოსვასა და გაყინვას, ტექნიკის ცუდად გამოყენებას, მშენებლობის ვადების გაჭიანურებას და მის გაძვირებას.

ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობის სპეციფიკის არასათანადოდ გათვალისწინების შედეგად საკმაოდ არ იყო გამოყენებული ხელსაყრელი პირობები ჩაის, ყურძნის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხილის, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების წარმოების ზრდისათვის. უკანასკნელ დრომდე ჩაის ფაბრიკების მშენებლობა წარმოებდა ჩაის პლანტაციების გაშენების კორექტივების გაუთვალისწინებლად. საქმისადმი ასეთმა უყაირათო მიდგომამ გამოიწვია მთელ რიგ რაიონებში ზედმეტი ფაბრიკების მშენებლობა, მაშინ როცა ზოგიერთ რაიონში—მაზარაძის, ჩოხატაურის რაიონებში — სიმძლავრეთა ნაკლებობას განიცდიან.

არასწორი დაგეგმვა და არსებულ შესაძლებლობათა გამოუყენებლობა თვალნათლივ ჩანს მეღვინეობის მრეწველობის მაგალითით. აქ შეიქმნა დიდი დისპროპორცია ტექნიკურ და სანედლეულო ბაზას შორის. ყურძნის პირველადი გადამუშავების ქარხნების სიმძლავრე ამკარად არასაკმარისია, კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ღვინომასალების შესანახი ბაზის მხრივ; ამის შედეგად დიდძალი ეს მასალა ღია ცისქვეშ ინახება, რაც იწვევს მეტად დიდ დანაკარგებს და პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. ტექნიკური ბაზის ასეთი მდგომარეობა დაბლა სწევს ხარისხობრივი მეღვინეობის წარმოების ტემპებს, აგრეთვე სამარკო ღვინოების ხვედრითს წონას, რომელიც ღვინოების საერთო გამოშვების 10-11 პროცენტს არ აღემატება.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა საკონსერვო მრეწველობაშიც, სადაც არსებული აღჭურვილობით საკონსერვო ქარხნები აწარმოებენ თავიანთი ზონების ხილის საერთო მოსავლის მხოლოდ 13-18 პროცენტის გადამუშავებას. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კი, რომლებსაც მებაღეობის განვითარების დიდი პერსპექტივები აქვთ, ხილის გადასამუშავებელ საწარმოთა მშენებლობა სრულებით არ იყო გათვალისწინებული.

ჩვენს რესპუბლიკაში ჰავის პირობების მეოხებით ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურები ხარობს. ეს კულტურები ძვირადღირებული საიმპორტო ეთეროვანი ზეთების შემცვლელ პროდუქტს იძლევიან. ასეთი ნედლეულის არსებობისას, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკის მშენებლობა, რაც 1949 წელს დაიწყო, და რაც უთუოდ გამართლებული იყო ეკონომიური თვალსაზრისით, —რატომღაც კონსერვირებულია და დღემდე გრძელდება ეთეროვანი ზეთების გატანა. ამავე დროს ყოველწლიურად დიდი რაოდენობით შემოგვაქვს საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ნაწარმი.

ამ ფაბრიკის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის პროდუქცია გამომუშავდება; ამით რესპუბლიკაში შეიქმნება დიდი პერსპექტივები იმისათვის, რომ განვითარდეს საპარფიუმერიო მრეწველობა — მეურნეობის ეს ფრიად რენტაბელური დარგი.

მინდა დეპუტატების ყურადღება მივაპყრო შემდეგს: საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოები საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების მხრივ ყოველდღიური ხელმძღვანელობის უქონლობის შედეგად მოწყვეტილი იყვნენ ცენტრს და მათ კონტროლს არ უწევდნენ ადგილობრივი სამეურნეო ორგანოები. საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი, სარგებლობდა რა ამით, არარაციონალურად იყენებდა მატერიალურ და ადამიანთა რესურსებს, ხოლო ზოგჯერ უშვებდა სახელმწიფო სახსრების ხელგაშლილად ხარჯვასა და დატაცებას. მაგალითად, საქჰიდროენერგომშენის ტრესტში უკანასკნელ ხანს გამოვლინდა დიდი დატაცება.

ხელმძღვანელობდა რა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებით, პარტიის XX ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის გამგებლობაში გადმოცემულ იქნა საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი საწარმოები. ცხოვრებამ დაადასტურა ამ გადაწყვეტილებათა სისწორე.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ თუ გადმოცემამდე ბევრი საწარმო ვერ ასრულებდა საწარმოო გეგმებს და არარენტაბელური იყო, ახლა მათ მკვეთრად გაუმჯობესეს მუშაობა და სახელმწიფოს აძლევენ ზეგეგმოთს მოგებას, ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი.

ყველა ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამტკიცებს ტერიტორიული პრინციპის მიხედვით მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის საჭიროებასა და მიზანშეწონილობას. ეს გამოიწვევს სტრუქტურის გამარტივებას, მეტისმეტი ცენტრალიზაციის ლიკვიდაციას და მრავალი უწყებრივი ბარიერის აღმოფხვრას, შექმნის საჭირო პირობებს ჩვენი ბუნებრივი და მატერიალური რესურსების სრული გამოყენებისათვის, რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ახალი აყვავებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! მინდა გაცნობოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა ჩვენ მიგვიწვიეს თათბირზე, რომელზეც პრინციპულად დადებითად იქნა გადაჭრილი ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის შემდგომი განვითარების მთელი რიგი მომწიფებული საკითხები.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ელექტროენერგიის დიდი დეფიციტი გვაქვს. დადებითად გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, რომ 1957 წელს დამატებით გამოიყოს მნიშვნელოვანი თანხები ხრამის № 2 და ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის. აგრეთვე იმის შესახებ, რომ მე-6 ხუთწლედისათვის გადიდდეს კაპიტალდაბანდებანი მთლიანად რესპუბლიკაში, მათ შორის ჰიდროენერგომშენებლობისთვისაც.

თქვენს უმრავლესობას ახსოვს, რომ ჩვენ არაერთხელ დაგვიყენებია საკითხი თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის სრული დატვირთვის შესახებ, რომლის სიმძლავრე მხოლოდ 30-40 პროცენტით იყო გამოყენებული. ამ საკითხის დადებითად გადაჭრას ხელს უშლიდა უწყებრივი ბარიერები. ამჟამად ამ ქარხნის პროფილი იცვლება: რემონტის წარმოების ნაცვლად იგი გამოუშვებს ახალ სამგზისტრალო ელმავლებს.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებულ კანონში ნათქვამია, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვა უნდა ხორციელდებოდეს ტერიტორიული პრინციპით ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების საფუძველზე. მრეწველობისა და მშენებლობის მართვისათვის ყოველ ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში იქმნება სახალხო მეურნეობის საბჭო.

ამ დებულებათა, აგრეთვე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს შემოსულ წინადადებათა საფუძველზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ სესიის განსახილველად შემოაქვთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სტრუქტურის პროექტი.

სია საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა, რომლებიც გაუქმებულ ან რეორგანიზებულ უნდა იქნას, მოყვანილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონის პროექტში; დეპუტატებს აგრეთვე დაურიგდათ საქართველოს სსრ კონსტიტუციის სათანადო შესწორებათა პროექტი.

შემოჰქონდათ რა სესიის განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ორგანიზაციის სტრუქტურის პროექტი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ემყარებოდნენ იმ ძირითად დებულებას, რომ საქართველოს სსრ ერთიანი ეკონომიური რაიონია.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო აღჭურვილი უნდა იყოს ყველა უფლებით, რომლებიც აუცილებელია სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისათვის, და სავსებით პასუხისმგებელი უნდა იყოს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა წარმოების გეგმების შესრულებისათვის და მათი საქმიანობის ეკონომიური შედეგებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ამოცანებში უნდა შედიოდეს წარმოების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავება და განხორციელება, საწარმოთა სპეციალიზაციის, წარმოების კოოპერირებისა და ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების ურთიერთ მიწოდების გეგმების შემუშავება როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შედგენა და განხორციელება.

საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო უშუალოდ უნდა განაგებდეს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და მშენებლობებს და, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური მონაწილეობით, ოპერატიულად წყვეტდეს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების მომწიფებულ ამოცანებს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო მთელ თავის საქმიანობაში უშუალოდ დაექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნა საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა, აგრეთვე საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ სამშენებლო ორგანიზაციათა ბაზაზე. მასში გაერთიანდება მთელი სახელმწიფო მრეწველობა, გარდა ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) მრეწველობისა, რომელიც ექვემდებარება ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული კანონით გათვალისწინებულია აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოებისათვის იმ სამრეწველო საწარმოთა დაქვემდებარება, რომლებიც ეგრეთწოდებული არასამრეწველო სამინისტროების — გზათა სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სხვ. გამგებლობაში არიან. საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური არასამრეწველო სამინისტროების იმ საწარმოთა სიას, რომლებიც გადაცემულ უნდა იქნან, კანონის თანახმად, განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. რაც შეეხება რესპუბლიკური დაქვემდებარების არასამრეწველო სამინისტროების საწარმოთა გადაცემას, ამ საკითხის გადაწყვეტა საჭიროა დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სათავეში უნდა ჩაუდგეს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე. დასახულია სახალხო მეურნეობის საბჭოში იყოს თავმჯდომარის ხუთი მოადგილე.

მრეწველობისა და მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში იქმნება 17 კაცისაგან შემდგარი საბჭო, რომელშიც შევლენ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, მისი ხუთი მოადგილე და წამყვანი სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები.

თავის ყოველდღიურ მუშაობაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო დაეყრდნობა 13 სამმართველოს, მათ შორის 10 დარგობრივ საწარმოო სამმართველოს, რომლებიც იქმნება და რომლებშიც კონცენტრირებული იქნება რესპუბლიკის მრეწველობის ყველა დარგის საწარმოთა მთელი ხელმძღვანელობა.

ეს სამმართველოები გააერთიანებენ ათას ორასზე მეტ საწარმოს, რომელთა საერთო პროდუქციის მოცულობა 11 მილიარდ მანეთზე მეტი იქნება. ამ საწარმოებში, აგრეთვე მშენებლობაზე მომუშავე პერსონალის რაოდენობა იქნება 220 ათასზე მეტი კაცი, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 1 მილიარდამდე მანეთი იქნება.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმოდგენილ პროექტში დასახულია შეიქმნას შემდეგი დარგობრივი სამმართველოები: მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისა; ენერგეტიკული მეურნეობისა (საქენერგო); მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობისა; ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობისა; საშენ მასალათა მრეწველობისა; სატყეო მრეწველობისა; საფეიქრო მრეწველობისა; მსუბუქი მრეწველობისა; ხორცისა და რძის მრეწველობისა და თევზის მრეწველობისა; სასურსათო საქონლის მრეწველობისა.

ამ სამმართველოებიდან სამი სამმართველო: მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისა, მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობისა, ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობისა ძირითადად იქმნება იმ სამრეწველო საწარმოებისა და უწყებების ბაზაზე, რომლებიც წინათ საკავშირო სამინისტროებს ექვემდებარებოდნენ.

მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო, რომლის შემადგენლობაშიც შევა 8 საწარმო 17 ათასზე მეტი მუშითა და მოსამსახურით, ხელმძღვანელობას გაუწევს ისეთ მსხვილ საწარმოებს, როგორიც არის ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა და სხვ. ნავარაუდევია ამ სამმართველოში შეტანილ იქნას აგრეთვე ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველო გააერთიანებს 24 ლითონდამამუშავებელ, მანქანათმშენებელ და ელექტროტექნიკურ საწარმოს, რომელთა პერსონალის საერთო რაოდენობა იქნება 28 ათასზე მეტი კაცი. ამ სამმართველოს დაქვემდებარებაში იქნება ისეთი მსხვილი ქარხნები, როგორიც არის ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, პლასტმასის ქარხანა, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, თბილისისა და ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნები და სხვ.

ამ სამმართველოს დიდი მუშაობა მოელის იმისათვის, რომ აითვისოს საპროექტო სიმძლავრეები ავტომატიკის ხელსაწყოებისა და საშუალებების, ინსტრუმენტების, ელექტროგამშვებებისა და ელექტროავტომატების საწარმოებისა, რომლებიც თბილისში ახლად შეიქმნა, აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოს ჩაისათვის და საერთოდ სამთო მიწათმოქმედებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მშენებლობის ორგანიზაცია 26 კომისრის სახელობის ქარხნისა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის ქარხნის ბაზაზე. ამასთან ერთად დიდ აქტუალობას წარმოადგენს რესპუბლიკის მანქანათმშენებელი ქარხნების სპეციალიზაციის განხორციელების ამოცანა.

ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს შექმნისას ხედველობაში მიღებული იყო ის გარემოება, რომ ამჟამად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მთამადნეულისა და

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(დასასრული)

არალითონური ნედლეულის სამთო დამუშავებას ეწევა ბევრი სამინისტროსა და უწყების მრავალი ორგანიზაცია, რომელთა მუშაობის კოორდინირებას რესპუბლიკაში არავინ არ ეწეოდა.

ნავარაუდევია ამ სამმართველოში იყოს 75 სამთამადნო და ქვანახშირის საწარმო 28 ათასზე მეტი მუშითა და მოსამსახურით. მათგან ყველაზე მსხვილია ის საწარმოები, რომლებიც გაერთიანებულია ჭიათურის მარგანეცის, ტყვარჩელის ქვანახშირის, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტებში, ახალციხის მაღაროთსამმართველოში და სხვ.

მარგანეცისა და ქვანახშირის საწარმოებს გარდა, სამმართველოში შევა ტყვია-თუთიის მადნის, ბარიტის, გუმბრინის, დიატომიტის და სხვ. მომპოვებელი სამთამადნო საწარმოები.

ყველა დანარჩენი დარგობრივი საწარმოო სამმართველო იქმნება გასაუქმებელი სამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების ბაზაზე.

ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო იქმნება „საქენერგოს“ ბაზაზე, რომელიც გაერთიანებს რესპუბლიკის ყველა ელექტროსადგურს.

საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოში შევა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ყველა ძირითადი საწარმო, აგრეთვე კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნები.

სატყეო მრეწველობის სამმართველოში გათვალისწინებულია თავმოყრილ იქნას ყველა ხისდამამუშავებელი და ხე-ტყის დამამზადებელი საწარმო მათი შემდგომი გამსხვილებით. სატყეო მრეწველობის საწარმოთა ასეთი გაერთიანება უზრუნველყოფს დამამზადებელი ორგანიზაციებისა და ხე-ტყის დამმუშავებელი საწარმოების მუშაობის უფრო სწორ კოოპერირებას. სამმართველოს გამგებლობაში გადაცემულ იქნება აგრეთვე საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის თბილისის ქაღალდის ფაბრიკა და სსრ კავშირის ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის ამჟამად გაუქმებული სამინისტროს ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი.

საფეიქრო მრეწველობის სამმართველო გააერთიანებს საფეიქრო და მისი მონათესავე სატრიკოტაჟო მრეწველობის საწარმოებს — სულ 19 საწარმოს. ამ დარგის მეტი წილი საწარმოები მსხვილი, ტექნიკურად აღჭურვილი საწარმოებია. ასეთებია: გორის ბამბეულის კომბინატი, სადაც 4.000 მუშა და მოსამსახურეა; ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი (3.800 კაცი); თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი (3.000-ზე მეტი კაცი); თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა (2.200 კაცი).

მსუბუქი მრეწველობის სამმართველო გააერთიანებს 22 საწარმოს, უმთავრესად ტყავის, ფეხსაცმლის, სამკერვალო და საგალანტერიო მრეწველობის საწარმოებს.

ხორცისა და რძის მრეწველობისა და თევზის მრეწველობის სამმართველო ნავარაუდევია შეიქმნას ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოთა ბაზაზე. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სამმართველო 134 შედარებით წვრილ საწარმოს გაერთიანებს, მიზანშეწონილია მათი ხელმძღვანელობა ხორციელდებოდეს სამი ტრესტის — საქხორცტრესტის, საქყველკარაქმრეწვის და საქთევზმრეწვის მეშვეობით.

იმის გამო, რომ კვების მრეწველობის სტრუქტურა, რომელიც ამჟამად 12 ტრესტსა და 1 კომბინატში 300-მდე საწარმოს აერთიანებს, მრავალდარგოვანია, აგრეთვე იმის გამო, რომ მას დიდი ხვედრითი წონა აქვს (42,6 პროცენტი) მთელი რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობაში, დასახულია შეიქმნას **სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველო.**

ამ სამმართველოს შემადგენლობაში უთუოდ ბევრი ტრესტია, და ამიტომ შემოტანილ იქნა მთელი რიგი წინადადებანი, რომ მოხდეს ზოგიერთი მათგანის გაერთიანება, მაგალითად, საქთამბაქო შეუერთდეს საქთამბაქონედლეულს, სამტრესტი შამპანური ღვინოების კომბინატს და სხვ. საჭიროა დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბოლომდე დაამუშაოს და გადაწყვიტოს მრეწველობის ამ დარგის წარმოების ხასიათის მხრივ მონათესავე ტრესტების გაერთიანების მიზანშეწონილობის საკითხი.

გარდა აღნიშნული ათი დარგობრივი სამმართველოსი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში იქმნება სამი სამმართველო, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ სახალხო მეურნეობის საბჭოში გაერთიანებულ მრეწველობის ყველა დარგს. მათ რიცხვს ეკუთვნიან: **მშენებლობის სამმართველო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სამმართველო, აგრეთვე ტრანსპორტის სამმართველო.**

მშენებლობის სამმართველო გააერთიანებს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ყველა სამშენებლო ტრესტს, გარდა თბილისის ტრესტებისა, აგრეთვე საერთო-საკავშირო სამშენებლო სამინისტროების ისეთ ტრესტებსა და სამმართველოებს, როგორიც არის საქჰიდროენერგომშენი, საქელექტროქსელმშენი, ამიერკავკასიის მეტალურგმშენი, საქშახტმშენი და სხვ.

იმის გამო, რომ ქალაქ თბილისში 1957 წელს ხორციელდება 330 მილიონ მანეთამდე მოცულობის კაპიტალური მშენებლობა, მათ შორის 136,5 მილიონი მანეთის საბინაო მშენებლობა, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ამ მშენებლობის მთლიანად დაქვემდებარება თბილისის საქალაქო საბჭოსათვის, რომელსაც შეუძლია კომპლექსურად გადაჭრას ქალაქის ცალკეულ სამშენებლო მასივებში მშენებლობის მექანიზაციისა და რაციონალიზაციის საკითხები.

მრეწველობის წარმატებით მუშაობისა და მშენებლობის სწორი გაძღოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გვქონდეს კარგად მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და პროდუქციის გასაღება. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სამმართველო** უნდა მუშაობდეს მატერიალურ ბალანსებზე და დარგობრივ სამმართველოებს შორის ფონდების განაწილებაზე, აგრეთვე ფონდების რეალიზაციაზე, საწარმოების მატერიალურ მომარაგებაზე და მათი პროდუქციის გასაღებაზე. გარდა ამისა, მრეწველობისა და მშენებლობის შეუფერხებელი მომარაგების მიზნით, პირველ ხანებში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რომ თვითეულ დარგობრივ სამმართველოსთან იყოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილებები ან კანტორები.

სატრანსპორტო სამმართველო გააერთიანებს ცალკეული სამინისტროებისა და ტრესტების განკარგულებაში არსებულ მთელ სატრანსპორტო საშუალებებს, რაც გააიაფებს ტვირთზიდვის თვითღირებულებას, უზრუნველყოფს არსებული სატრანსპორტო საშუალებების უკეთ გამოყენებას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში დარგობრივ სამმართველოებთან ერთად იქმნება ფუნქციონალური განყოფილებები: **საგეგმიეკონომიური; საწარმოო-ტექნიკური; კაპიტალური მშენებლობისა; შრომისა და ხელფასისა; კადრებისა და სასწავლებლებისა; ცენტრალური ბუხჰალტერია; საფინანსო; პირველი განყოფილება და ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.**

გარდა ამისა, იქმნება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საკონსულტაციო-სამმართველო ორგანო — **ტექნიკურ-ეკონომიური საბჭო,** რომელიც იმუშავებს მრეწველობასა და მშენებლობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის საკითხებზე.

დარგობრივი მნიშვნელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელობას განახორციელებენ შესაბამისი საწარმოო სამმართველოები დარგობრივი ნიშნის მიხედვით ან სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილება.

რესპუბლიკური მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელობა უნდა განახორციელოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საინჟინრო-ტექნიკურმა კომიტეტმა.

განზრახულია რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციები დავუქვემდებაროთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, იმ ორგანიზაციების გამოკლებით, რომლებიც პერსპექტიულ და ტიპურ დაპროექტებაზე მუშაობენ. ეს უკანასკნელნი უნდა დაექვემდებარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

იმასთან დაკავშირებით, რომ იქმნება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სადაც კონცენტრირებული იქნება მთელი მსხვილი სახელმწიფო მრეწველობა, განზრახულია გაუქმდეს შემდეგი სამინისტროები: სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, სატყეო მრეწველობის სამინისტრო, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო.

დღემდე რესპუბლიკის ბევრი საწარმო, რომლებსაც ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა, რესპუბლიკური და თვით საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების გამგებლობაში იყო. მათს რიცხვს ეკუთვნიან ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები — წვრილი სამკერვალო, მექანიკური, შემკეთებელი სახელოსნოები და სხვ. როგორც წესი, ამ საწარმოთა პროდუქცია ხმარდება ადგილებზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ამ საწარმოთა გადაცემა ავტონომიური რესპუბლიკების — აფხაზეთისა და აჭარის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, აგრეთვე ადგილობრივი საქალაქო და რაიონული საბჭოების გამგებლობაში ხელს შეუწყობს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოებას, მსახის შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას. ამის გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უახლოეს დროში უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

საქალაქო და რაიონული მრეწველობის ტექნიკური ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის, აგრეთვე მისი განვითარების საკითხების კოორდინაციისათვის, ნაცვლად ადგილობრივი მრეწველობის გასაუქმებელი სამინისტროსი საჭიროა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნას ადგილობრივი (საქალაქო და რაიონული) მრეწველობის სამმართველო.

ამხანაგო დეპუტატებო! ასეთია მოკლედ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სტრუქტურის პრინციპული სქემა, რომელიც წარმოდგენილია ამ სესიის განსახილველად.

როგორც ცნობილია, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სტრუქტურის პროექტი. ეს პროექტი განხილულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც. სახალხო მეურნეობის საბჭოს სტრუქტურის საბოლოო პროექტის შემუშავებისას საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინეს მშრომელთა ძვირფასი წინადადებები და რჩევა.

მაგალითად, თავდაპირველ სქემაში გათვალისწინებული არ იყო სახალხო მეურნეობის საბჭოსთან სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს, აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს შექმნა. ნაცვლად ხისდამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოსი და საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტისა, რომელიც უნდა დაქვემდებარებოდა უშუალოდ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ახლა წინადადებაა, როგორც უკვე ითქვა, შეიქმნას სატყეო მრეწველობის სამმართველო. თავდაპირველი პროექტის ყოველმხრივ განხილვის შედეგად საჭიროდ იქნა ცნობილი სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველოს შექმნა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნასთან და იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი საწარმო საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადმოდის, გეგმების შედგენის მთელი ძირითადი სამუშაო გადადის ადგილებზე, მაშასადამე, მნიშვნელოვნად იზრდება რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ადგილობრივი საგეგმო ორგანოების როლი.

ზედმეტია ლაპარაკი იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც მუშაობაში აქვთ ჩვენს საგეგმო ორგანოებს და, კერძოდ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას: ამის შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა, როდესაც განვიხილავდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების შედეგებს. ახლა ჩვენი მგეგმავი ორგანოების მუშაკთა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ დიდ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა მათ მოუხდებათ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით.

ახალ პირობებში რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია სამეცნიერო საგეგმო-ეკონომიური ორგანო უნდა გახდეს. მთელ თავის საქმიანობაში იგი უნდა გამოდიოდეს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებიდან, ამასთან მკაცრად უნდა სპობდეს კუთხურობის ოდნავ გამოვლინებას ისე, რომ ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები კი არ უპირისპირდებოდნენ საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, არამედ, პირიქით, სავსებით შეესაბამებოდნენ მათ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ერთიანი სახელმწიფო გეგმის საფუძველზე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია უნდა ამუშავებდეს გეგმებს ჩვენი რესპუბლიკის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, მაგრამ პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ის საკითხები, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს, და უმთავრესად განვავითაროთ მრეწველობის ის დარგები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკისათვის.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მთელი თავისი შესაძლებლობანი და ღონისძიებანი უნდა წარმართოს პერსპექტიული დაგეგმვის საქმის ძირეული გაუმჯობესებისაკენ. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ სახალხო მეურნეობის ყოველ საწარმოს და ყოველ დარგს წელსვე ჰქონდეს არა მარტო მომავალი წლის გეგმა, არამედ მომავალი ხუთწლედის გეგმის ძირითადი მონასახებიც. ამ ამოცანების განხორციელებისას რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას მჭიდრო კონტაქტი უნდა ჰქონდეს სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და ადგილობრივ მგეგმავ ორგანოებთან.

პირველ ხანებში, სანამ მოწესრიგდებოდეს მჭიდრო სამეურნეო კავშირი საწარმოებსა და ეკონომიურ რაიონებს შორის, სახელმწიფო საგეგმო კომისიას დასჭირდება მუშაობა ზოგიერთი სახეობის პროდუქციის მომარაგების დაგეგმვის დარგში. იგი ვალდებულია მთელი სიმკაცრით განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი სამრეწველო პროდუქციის მიწოდების საქმეში.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით აუცილებელია შევცვალოთ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სტრუქტურა და განვამტკიცოთ იგი გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული კანონით იქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი. ამავე კანონით მიზანშეწონილად არის ცნობილი სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტების შექმნა მოკავშირე რესპუბლიკებში.

მართვის წარმოდგენილ სქემაში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ითვალისწინებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის შექმნას, რომელიც უნდა სწავლობდეს სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, აგრეთვე წარმოების მოწინავე გამოცდილებას, ეწეოდეს მათს ფართო პროპაგანდას, უშვებდეს სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას და სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ-ეკონომიურ საბჭოსთან ერთად კონტროლს უწევდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის განვითარებასა და დანერგვას. ამ კომიტეტის მუდმივი აპარატი უნდა იყოს პატარა, დაახლოებით 50 კაცის ფარგლებში, ვინაიდან თავის პრაქტიკულ საქმიანობაში იგი უნდა ემყარებოდეს წარმოების ნოვატორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა, აგრეთვე მეცნიერი და გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ფართო წრეს.

ახლა, როცა სახალხო მეურნეობისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი ადგილებზე გადადის, როცა ყოველი ღონისძიებით მაღლდება და ფართოვდება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, სერიოზულად იზრდება ჩვენი პასუხისმგებლობა არა მარტო რესპუბლიკის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

ვახორციელებთ რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს, საჭიროა ავამაღლოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა. ისინი უფრო ღრმად უნდა სწვდებოდნენ მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს, უფრო ოპერატიულად, უფრო კონკრეტულად უნდა ხელმძღვანელობდნენ სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებს და ამით აქტიურად ახდენდნენ გავლენას მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაზე.

უნდა შევიგნოთ, რომ ეს გარდაქმნა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის ღრმა, თვისებრივი ცვლილებაა. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ რა სრულყოფილიც უნდა იყოს მართვის ახალი ფორმა, სათანადო დადებით შედეგებს ვერ მივაღწევთ, თუ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურ და გულმოდგინე ორგანიზატორულ მუშაობას არ ეწევიან.

ამჟამად რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დგას მეტად პასუხსაგები ამოცანა — კადრების სწორად შერჩევა და განაწილება. სახალხო მეურნეობის საბჭოს და სამმართველოების აპარატში უნდა გავგზავნოთ მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, პრაქტიკულ მუშაობაში შემოწმებული და ინიციატივიანი მუშაკები.

საჭიროა ახლებურად გარდავქმნათ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. ისინი მოწოდებული არიან უფრო ფართოდ ჩააბან მშრომელები წარმოების მართვაში, შეუპოვრად იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ყოველდღიურად იზრუნონ მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ინიციატივის გამოჩენისათვის დიდი პერსპექტივები ისახება კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე. ჩვენს ახალგაზრდობას ლენინური კომკავშირის მეთაურობით შეუძლია ყოველმხრივ დაეხმაროს და კიდევაც უნდა დაეხმაროს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის სეროზული ამოცანების გადაჭრაში.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი სესიის მუშაობა მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ეგებება დიდ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. მთელ ჩვენს ქვეყანაში — ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, შახტებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე — სულ უფრო ფართოდ ჩაღდება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მშრომელები კისრულობენ ვალდებულებებს ვადამდე და წარმატებით შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დავალებები.

თვალს ავლებს რა განვლილ გზას, ქართველი ხალხი ერთხელ კიდევ რწმუნდება, თუ რა ცხოველმყოფელი ძალა აქვს სოციალისტურ წყობილებას. მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების პირობებში, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, დიდი რუსი ხალხის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ყოველდღიური, უანგარო დახმარებით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მიაღწია საქართველომ უდიდეს წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია მოწოდებულია განიხილოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საკითხი „საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“. ჩვენ უნდა მივიღოთ ამ საკითხზე სათანადო გადაწყვეტილება და ამით დავაგვირგვინოთ ის დიდი მუშაობა, რაც რესპუბლიკაში გაწეულია სახალხო მეურნეობის განვითარების ხელმძღვანელობის ყველაზე სწორი, სრულყოფილი ფორმების გამოსანახავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებულმა კანონებმა საყოველთაო-სახალხო მოწონება და ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მხარდაჭერა ჰპოვეს. შემოჰქონდათ რა ამ სესიის განსახილველად მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის საკითხი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ღრმა და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ მიიღებენ ამ საკითხზე საჭირო გადაწყვეტილებას, რომლის წარმატებით განხორციელება კიდევ უფრო დიდ გასაქანს მისცემს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალ აყვავებას, მნიშვნელოვნად გაამრავლებს ჩვენს წვლილს კომუნიზმის მშენებლობაში. (ხანგრძლივი ტაში).

ჯ. ე. ვოროშილოვი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში — ბრძოლისა და ბედნიერების ბილეთი

ულან-ბატორი, 27 მაისი. (საკუთარი). ულან-ბატორში ჩამოვიდა სსრ კავშირის სახალხო ხელოვნების ანსამბლი.

დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჟ. სამბუმ ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

ჟ. სამბუს ახლდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარე ც. დუგერსურენი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის წევრები ს. იანკიმა და დ. ტუმურ-ოჩირი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის მდივანი დ. შარაბი.

ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ შ. რ. რაშიდოვი, ვ. პ. ელიუტინი, ნ. ტ. ფედორენკო და ვ. ი. პისარევი.

ულან-ბატორი, 27 მაისი. (საკუთარი). დღეს გაიმართა სახელმწიფო დარბაზობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად. დარბაზობა მოაწყეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჟ. სამბუმ და კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარბაზობამ, რომელსაც 600-მდე კაცი დაესწრო, განსაკუთრებით გულითად, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და მონღოლი და საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის მკაფიო გამოხატულება იყო.

ა. ა. გრომიკო და გ. კ. ჟუკოვი ბუდაპეშტში ჩავიდნენ

ბუდაპეშტი, 27 მაისი. (საკუთარი). უნგრეთში დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის თაობაზე შეთანხმების დადების შესახებ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად დღეს ბუდაპეშტში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი.

ა. ა. გრომიკო და გ. კ. ჟუკოვი ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 27 მაისი. (საკუთარი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა გვირგვინებით შეამკეს თავისუფლების მოედანზე საბჭოთა მეომრების ძეგლი და უნგრელი გმირების ძეგლი, რომლებიც დაცვნენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ინდოეთის პრესა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ

დელი, 26 მაისი. (საკუთარი). ინდოეთის გაზეთები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას რუსეთის სსრ ჩრდილო-დასავლეთის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე.

გაზეთი „დეკან ჰერალდი“ ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შესახებ აქვეყნებს პირველი გვერდის თვალსაჩინო ადგილზე სათაურით: „ჩვენ გაჯობებთ წარმოების დარგში“. გაზეთი „ბომბეი ქრონიკლი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს იმედი აქვს უახლოეს წლებში გაუსწროს შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძის, ხორცისა და ერბო-კარაქის წარმოებაში. გაზეთი გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ამ გამარჯვებას მეტი ეფექტი ექნება, ვიდრე წყალბადის ბომბს.

ჩინეთის პრესის გამოხმაურება საკრებულის განცხადებაზე

პეკინი, 27 მაისი. (საკუთარი). დღეს პეკინის ყველა გაზეთი დიდი სათაურებით აქვეყნებს საკრებულის განცხადების შინაარსს.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ სათაურში წერს, რომ იორდანიის ამბები იმპერიალისტური წეოქმეულების შედეგია. ითვალისწინებს რა თავისი უშიშროების ინტერესებს, საბჭოთა კავშირს არ შეუძლია უყურადღებოდ დატოვოს ეს ამბები.

„საბჭოთა კავშირს არ შეუძლია გვერდი აუარაროს ვითარებას, რომელიც შეიქმნა იორდანიის რაიონში“, — წერს გაზეთი „ჟუანმინჟიბაო“.

„საკრებულის განცხადებაში, — წერს სათაურში გაზეთი „დაგუნბაო“, — აღნიშნულია, რომ იორდანიის ამბების დამწყები არიან ამერიკის შეერთებული შტატები“.

„იორდანიის ამბები დასავლეთის სახელმწიფოთა უხეში ჩარევის შედეგია. საბჭოთა კავშირი იცავს შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს“, — ხაზგასმით აღნიშნავს სათაურში გაზეთი „ჟუნენჟიბაო“.

მოკლე ცნობები

მწყობრში ჩადგა პეკინის ბამბეულის მესამე სახელმწიფო ფაბრიკა. ფაბრიკაში არის ჩინური წარმოების 87 ათასი თითისტარი და 3.600-ზე მეტი საქსოვი დაზგა. ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს 100 მილიონ მეტრ ბამბის ქსოვილებს.

* * *

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ქვანახშირის, მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მთელი რიგი სახალხო საწარმოები დააჯილდოვა „შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სპეციალური წოდებით და გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია.

* * *

ეგვიპტეში დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. მიმდინარეობს ეგვიპტის რესპუბლიკის ეროვნული კრების წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია. 350 ადგილზე რეგისტრირებულია უკვე დაახლოებით 2.000 კანდიდატი.

კ ო მ უ ნ ი კ ე

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის

1957 წლის 24-25 მაისს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა სხდომა, რომელზეც შეადგინეს მუშაობის გეგმა და ხელი მოაწერეს შესაბამის ოქმს ორივე ქვეყნის მანქანათმშენებელი მრეწველობის უფრო ფართო კოოპერირების საკითხებზე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების 1957 წლის 7 იანვრის ერთობლივი განცხადების შესაბამისად. გარდა ამისა, შემუშავებულ იქნა ღონისძიებანი სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გაფართოებისა და საკონსტრუქტორო სამუშაოთა დარგში თანამშრომლობის შესახებ.

მხარეები შეთანხმდნენ შექმნან მუშა ჯგუფები, რომლებმაც უახლოეს დროში უნდა შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობის კოოპერაციის შესახებ ენერგეტიკული და საგლინავი მოწყობილობის, მასალების გამოსაცდელი სპეციალური ჩარხებისა და მანქანების, საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობისა და ქიმიური მრეწველობის მოწყობილობის, ელექტრომავლების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, ცემენტის ქარხნების და გემთმშენებლობის მოწყობილობის წარმოებაში.

ამ ჯგუფებს დაეგალათ აგრეთვე შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განხორციელებისათვის.

აღნიშნული საკითხების განხილვა მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში, ურთიერთ ინტერესების სრული გაგებისა და სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მანქანათმშენებლობის დარგში უფრო ფართო კოოპერირებისათვის ხელშეწყობისადმი გულწრფელი მისწრაფების სულისკვეთებით. მუშაობა კოოპერირებისათვის განხორციელდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს პრინციპებისა და მისი რეკომენდაციების შესაბამისად, ხელს შეუწყობს რა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მრავალმხრივი ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას.

ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის მხრივ: მ. ზ. საბუროვმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, პ. ვ. ნიკიტინმა — ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა და სხვებმა; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ: ფ. ზელბმანმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზ. მილერმა — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ და სხვებმა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 25 მაისი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ფაშისტთა ჯგუფები დაესხნენ კომუნისტური პარტიის სადგომს მონპელიეში და მთელი რიგი დემოკრატიული ორგანიზაციების შენობებს დიეონში, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მთავარი ყურადღება ექცევა ფაშისტური საფრთხის გაძლიერებას. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ ძირგამომთხრელი ელემენტები, რომლებსაც მთავრობის პოლიტიკა აქეზებს, ცდილობენ ახლა თავიანთი საქმიანობის გასაძლიერებლად ვიეტნამელნრ მთავრობის კრიზისი.

აღნიშნა რა, რომ ფაშისტების მიზანია ძალაუფლება გადაეცეს უფრო რეაქციულ მთავრობას, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოუწოდებს მშრომელებს და დემოკრატიის მომხრეებს გაერთიანდნენ, რათა „გადაჭრით გადაეულობონ გზა ფაშისტ ავანტიურისტებს“ და წინ აღუდგნენ მათს თავხედურ გამოხდომებს.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 27 მაისი. (საკდესი). ინგლისის თემთა პალატის დღევანდელ სხდომაზე რამდენიმე ლეიბორისტმა შეკითხვებით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს სელვინ ლოიდს.

სუნეგლერის კითხვაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში მოლაპარაკების მიმდინარეობისა და საერთაშორისო შეთანხმების მიღწევის პერსპექტივების შესახებ ლოიდმა უპასუხა, რომ, მისი აზრით, „არის ერთგვარი საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ ნაწილობრივი შეთანხმება განიარაღების შესახებ შესაძლებელი გახდება“.

ლეიბორისტების მთელი რიგი შეკითხვები შეეხებოდა ამერიკის იარაღის მიწოდებას საუდის არაბეთისათვის. შინუელი, მაგალითად, შეეკითხა საგარეო საქმეთა მინისტრს, დაავალებს თუ არა იგი მთავრობის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღძრას უშიშროების საბჭოში საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საუდის არაბეთში იარაღის ექსპორტის შესახებ, იმასთან დაკავშირებთ, რომ ეს საფრთხეს უქმნის მშვიდობას თთელ მსოფლიოში. ამაზე ლოიდმა უარყოფითი პასუხი გასცა.

ლეიბორისტმა ბარბარა კასლმა მისცა შემდეგი კითხვა: „ფაქტია თუ არა, რომ საუდის არაბეთთან ამერიკის ამასწინანდელი შეთანხმების პირობებით ამერიკის მატერიალური დახმარება საუდის არაბეთს ამჟამად ეძლევა აქაბის ყურეში სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობისათვის?.. აწდგიან თუ არა ამჟამად ამერიკელები ტორპედიან კატერებს, გზავნიან თუ არა სამხედრო-საზღვაო ინსტრუქტორებს, საპატრულო გემებსა და გემების მთელ ფლოტილას საზღვაო შეტევითი ოპერაციებისათვის და შეგვიძლია თუ არა ჩვენ ჩავერიოთ ამ საქმეში?“

ლოიდმა ბარბარა კასლს გასცა საკვირველი პასუხი: „სამხედრო-საზღვაო ბაზის შესახებ მე არა მაქვს ინფორმაცია. რაც შეეხება იარაღით ძმარაგებას, ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება ეცადოთ თავდან ავიცილოთ გამალებული შეიარაღება, და ჩვენ გავაფართოვეთ ეს ვალდებულება, განვაცხადეთ რა, რომ ვცდილობთ თვალყური ვადევნოთ ერთგვარი წონასწორობის შენარჩუნებას. მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ამ იარაღის მიწოდება წონასწორობას აღვევს“.

ინგლისის აგრესია იემენის წინააღმდეგ გრძელდება

კაირო, 27 მაისი. (საკდესი). როგორც მენის საგენტო იუწყება, იემენის მთავრობამ შეიტყო, რომ ინგლისის ხელისუფალნი ადენში ამზადებენ ახალ შეიარაღებულ თავდასხმას ელბეიდის რაიონში იემენის ტერიტორიის ამ ნაწილის ოკუპაციის მიზნით.

ცნობაში ნათქვამია, რომ ამ რაიონში თავს უყრიან ინგლისის ჯარებს. ინგლისის შეიარაღებული ძალები გადაჰყავთ აგრეთვე კუნძულ კამარანზე. გახშირდა იემენის ტერიტორიაზე ინგლისის რეაქციული თვითმფრინავების ფრენის შემთხვევები.

მდგომარეობა ჰაიტში

ნიუ-იორკი, 27 მაისი. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ ჰაიტში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეიარაღებული შეტაკებანი სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებებს შორის, რომლებიც ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება. გუშინ ჰაიტში გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტის არჩევნებამდე, რაც ივნისში უნდა გაიმართოს, სახელმწიფოს მეთაურს ფუნქციებს ეასრულებს პროფესორი დანიელ ფინიოლი.

პრესის ცნობით, დროებითი პრეზიდენტის პოსტის დაკავების ცერემონიის დროს ფინიოლმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ჰაიტის „მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა“ ექნება მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ნიუ-იორკი, 28 მაისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 25 მაისს ჰაიტში დაამხეს არმიის სარდლის გენერალ ლეონ კანტავეს მმართველობა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. ჰაიტში გამოცხადდა, რომ პრეზიდენტის არჩევნებამდე, რაც ივნისში უნდა გაიმართოს, სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას შეასრულებს პროფესორი დანიელ ფინიოლი.

ჰაიტიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იქ აღდგენილია ნორმალური მდგომარეობა. დამთავრდა საყოველთაო გიფიცვა, რომელიც 6 დღის წინათ გამოცხადდა კანტავეს მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ ჰაიტის დროებითმა პრეზიდენტმა დანიელ ფინიოლმა პირობა დადო უზრუნველყოს ყველა პოლიტიკური პარტიისათვის ორგანიზაციის თავისუფლება, აგრეთვე თავისუფალი არჩევნების მოწყობა ჰაიტში. იგი პირობას დებს გაუთჯობესოს შრომის პირობები და შეეცადოს მიაღწიოს მუშათა მინიმალური ხელფასის გადიდებას. საინფორმაციო საგენტოები პორტ-ო-პრენსიდან მიღებულ ცნობებში აღნიშნავენ, რომ ფინიოლს დიდი გავლენა აქვს ჰაიტის მუშებსა და გლეხებში.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი, 27 მაისი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ფინეთის ახალი მთავრობა, რომელშიც შედიან აგრარული კავშირის, შვედთა სახალხო პარტიისა და „ფინეთის სახალხო პარტიის“ წარმომადგენლები. მთავრობას სათავეში უდგას აგრარული კავშირის ლიდერი ვ. ი. სუქსელაინენი, საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ი. ვიროლაინენი.

საომარი მოქმედება ალჟირში

პარიზი, 27 მაისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ალჟირში საომარი მოქმედების მსვლელობაში უკანასკნელი კვირის მანძილზე საფრანგეთის ჯარებმა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა არმიამ დაკარგეს მოკლულთა სახით 775 კაცი. გარდა ამისა, მოკლულია 44 კაცი სამოქალაქო მოსახლეობიდან.

გუშინ დღის განმავლობაში ყველაზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა მასკარისა და სიდი-ბელ-აბესის რაიონებში.

ინდოეთის ახალი მთავრობა

ტრიპოლი, 27 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა მეფის დეკრეტი ლიბიის ახალი მთავრობის შექმნის შესახებ. ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრია აბდელ მაჯიდ კაბარი.

ჯაიბეიში სამხედრო წესებია

პეკინი, 27 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 26 მაისს ტაიბეიში კვლავ სამხედრო წესები იყო. ღამის 12 საათიდან დილის 5 საათამდე აკრძალულია ყოველგვარი მიმოსვლა ქალაქში. ჩანკაიშელთა ჯარებით სავსეა ქალაქი და მისი მიდამოები. ბევრ ქუჩაში და ამერიკის დაწესებულებებისა და იმ სახლების ახლოს, სადაც ამერიკელები ცხოვრობენ, დადგმულია ტყვიამფრქვევები. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და მისი უახლოესი ქუჩები ბლოკირებული აქვთ ჩანკაიშელთა ჯარებსა და პოლიციას. ამ რაიონში ტრანსპორტის მიმოსვლა შეწყვეტილია. ტაიბეის პოლიციის სამმართველოს გარშემო ორწყებად გაკეთებულია მავთულღობურები. ტაივანზე ამერიკის სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის მთავარი ბინის ახლო ქუჩები ჩანკაიშელთა ჯარებს უკავიათ, იქ გამვლელ-გამომვლელი არა ჩანს.

ტაივანზე ამერიკის სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის რადიოსადგურმა ურჩია ტაივანის მცხოვრებ ამერიკელებს სახლიდან გარეთ ნუ გამოხვალთო. ამერიკელთა მანქანები იშვიათად გამოდიან ქუჩებში. ამერიკის სამხედრო საწყობები და მაღაზიები დროებით დაიხურა.

ამერიკის შეერთებული შტატების დანგრეული საელჩოს კედლებზე ბევრია წარწერა, რომელიც მოითხოვს, რომ ამერიკელმა ოკუპანტებმა დატოვონ ტაივანი.

იორდანიელი ხალხი ბრძოლას განაგრძობს

ბეირუთი, 27 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ალ-აპბარი“, ეხება რა იორდანიაში შექმნილ მდგომარეობას, წერს, რომ, მიუხედავად სასტიკი ტერორისა, იორდანიელი ხალხი განაგრძობს ბრძოლას იმპერიალისტური შეთქმულების წინააღმდეგ.

გაზეთს მოჰყავს იორდანიის ეროვნული ფრონტის ლიდერის აბდურაჰმარ შუქეირის განცხადება იმის შესახებ, რომ იორდანიელი ხალხის წინააღმდეგობა იმპერიალისტ შეთქმულთადმი, მიუხედავად რეპრესიებისა, არ შესუსტებულა.

შუქეირმა გამოთქვა რწმენა, რომ იორდანიელი ხალხი არავის არ მისცემს ნებას იმპერიალისტურ „ეიზენჰაუერის დოქტრინასთან“ დააკავშირონ იგი.

იორდანიაში ამერიკის იმპერიალისტური შეთქმულების წინააღმდეგ

კაირო, 27 მაისი. (საკდესი). როგორც მენის საგენტო გადმოგვცემს, ერაყის უმაღლესმა ეროვნულმა კომიტეტმა, რომელიც ერაყის პატრიოტულ ძალებს აერთიანებს, გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ამხილებს ამერიკის იმპერიალისტების ხრიკებს იორდანიის მიმართ.

განცხადებაში ნათქვამია, რომ იორდანია გახდა მსხვერპლი იმპერიალისტური შეთქმულებისა, რომლის მიზანია არა მარტო წაართვან მას დამოუკიდებლობა და ჩაითრიონ ბაღდადის პაქტში, არამედ ძირიც გამოუთხარონ არაბთა თავისუფალი ქვეყნების ერთობას.

იმპერიალიზმს, ნათქვამია განცხადებაში, სურს ჩაახშოს ეროვნული მოძრაობა იორდანიაში და თავის ბატონობას დაუმორჩილოს იგი. იორდანიაში გაჩაღებული „ანტიკომუნისტური კამპანიის“ მიზანია საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ იმპერიალისტურ შეთქმულებას იორდანიელი ხალხის წინააღმდეგ.

უმაღლესი ეროვნული კომიტეტი ერაყელი ხალხის სახელით თავის განცხადებაში გულისწყრომით აკრავს სამარცხვინო ბოძზე შეთქმულთ იორდანიაში და სავსებით უჭერს მხარს იორდანიელი ხალხის პატრიოტულ ძალებს, ხალხისა, რომელიც თავის თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას იცავს.

ღ. ლაჯინინამ ევროპის თასი მოიპოვა

ბუქარესტი, 26 მაისი. (საკდესი). დღეს აქ სასპორტო დარბაზ „ფლორიასკაში“ მიმდინარეობდა საერთაშორისო შეჯიბრება ტანვარჯიშში ქალთა შორის ევროპის თასის მოსაპოვებლად.

ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდა 10 ქვეყნის 19 უძლიერესი ტანმოვარჯიშე. საბჭოთა კავშირიდან გამოდიოდნენ ლ. ლატინინა და თ. მანინა. პროგრამაში იყო ნებისმიერი ვარჯიში ოთხ იარაღზე.

შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ლ. ლატინინამ. იგი გამარჯვებული გამოვიდა ოთხსავე იარაღზე ვარჯიშში და ამრიგად ევროპის თასის პირველი მფლობელი გახდა ტანვარჯიშში ქალთა შორის. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს რუმინელმა ტანმოვარჯიშეებმა ე. ლეუშტიანმა და ს. ინოვანმა. თ. მანინამ მეხუთე ადგილი დაიკავა.

ევროპის ჩემპიონატი კრივში

პრაღა, 27 მაისი. (საკდესი). გუშინ კრივში ევროპის ჩემპიონატში გამოირკვნენ შეხვედრის მეოთხედფინალის მონაწილენი კიდევ სამ წონითს კატეგორიაში: უმჩატეს, ქვემძიმე და მძიმე წონის კატეგორიებში.

უმჩატესი წონის საბჭოთა მოკრივემ ო. გრიგორიევმა ქულებით მოუგო ფინელ მოკრივეს ი. ლიმონენს.

თანასწორ ბრძოლაში პოლონელ ქვემძიმე წონის ა. ვოიცეხოვსკისთან ქულებით დამარცხდა რ. მურაუსკასი (სსრ კავშირი).

ნოკაუტით დამთავრდა გუშინ მძიმე წონის მოკრივეთა სამი შეხვედრა ოთხი შეხვედრიდან. სსრ კავშირის ახალგაზრდა ჩემპიონმა ა. აბრამოვმა პირველსავე რაუნდში ნოკაუტი გაუკეთა ფინელ მოკრივეს გ. მიაკელას. მეოთხედფინალში აბრამოვს მოელის ძლიერ სერიოზული შეხვედრა. მისი მოწინააღმდეგე იქნება ევროპის 1953 წლის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში უ. ნიეშკე (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელიც ახლა მძიმე წონის მოკრივეა.

წითელდროშოვანი ანსამბლის გასტროლები

ე. კაკაბაძე — საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში

თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში დამთავრდა საქართველოს 1957 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. დიდი ინტერესი გამოიწვია უკანასკნელმა XV ტურმა, რომელსაც უნდა გამოევლინებინა რესპუბლიკის ახალი ჩემპიონი.

ყურადღების ცენტრში იყო პირველობის მთავარი პრეტენდენტების კაკაბაძისა და გაფრინდაშვილის პარტიები გურფინკელთან და სტატნიკოვასთან. მწვავე პოზიციაში თბილისის ჩემპიონმა სტატნიკოვამ შეცდომა დაუშვა, წაგო მხედარი და დანებდა გაფრინდაშვილს. ძმიმე ციტნოტში იმყოფებოდნენ კაკაბაძე და გურფინკელი. უკანასკნელმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და დამარცხდა.

ამრიგად, საქართველოს ჩემპიონის წოდება ჭადრაკში ქალთა შორის მოიპოვა ელისო კაკაბაძემ (12,5 ქულა), რომელიც მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილე საერთაშორისო ოსტატს ი. გურფინკელს (დონის როსტოვი). ნ. გაფრინდაშვილმა 12 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

საბჭოთა კავშირის ქალთა XIX ჩემპიონატის ნახევარფინალში საქართველოდან დაშვებულია ოთხი მოჭადრაკე. გარდა კაკაბაძისა და გაფრინდაშვილისა ნახევარფინალში მოხვედრის შესაძლებლობა ჰქონდათ ა. ჩაიკოვსკაიას, ლ. ხაჭაპურიძესა და მ. ტოგონიძეს. ამიტომ მაყურებლები დიდი ინტერესით აღევნებდნენ თვალს ჩაიკოვსკაიასა და ხაჭაპურიძის პარტიას, რომელიც რთული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ტოგონიძემ მოუგო ნაჯუებაის, ხოლო როოტარე-გოგიავა ყაიმზე შეთანხმდნენ. ამის შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავა ბათუმელმა ა. ჩაიკოვსკაიამ (10,5 ქულა), მეხუთე — ს. როოტარემ (10 ქულა), მეექვსე-მეშვიდე — ტოგონიძემ და ლ. ხაჭაპურიძემ (ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა).

საკავშირო პირველობის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ ე. კაკაბაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ა. ჩაიკოვსკაია და მ. ტოგონიძე.

ასეთი დაძაბული სპორტული ბრძოლა ჩემპიონატში ნიჭიერი ახალგაზრდობის მონაწილეობამ განაპირობა. პირველობის გათამაშებამ ცხადყო, რომ საქართველოში არიან ახალგაზრდა, ძლიერი მოჭადრაკეები, რომლებსაც წარმატებით შეუძლიათ დაიცვან ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

ლ. გელოვანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ვაკის ახალი პარკის გვერდით მდებარე „ბურევესტნიკის“ სტადიონის ტრიბუნები 27 მაისს უამრავი ხალხით აივსო. მოედნის ცენტრში ფიცარნაგი იყო მოწყობილი, რომლის შორიახლო 4 რადიორეპროდუქტორი იდგა. აქ დედაქალაქის მშრომელებისა და თბილისის გარნიზონის ჯარების წინაშე გამოვიდა საბჭოთა არმიის ა. ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლი, რომელმაც წინა დღეს პირველი კონცერტი გამართა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ჩვენი ქვეყნის ეს სახელოვანი კოლექტივი 1928 წელს დაარსდა. მისი დამაარსებელი და ორგანიზატორი იყო ალექსანდრე ვასილის-ძე ალექსანდროვი — შემდეგში კონსერვატორიის პროფესორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რომლის სახელსაც დღეს ანსამბლი ატარებს. პირველ ხანებში ანსამბლის შემადგენლობა 12-18 კაცით განისაზღვრებოდა, ხოლო დღეს იგი 200-ზე მეტ მომღერალს, მოცეკვავესა და ორკესტრის მსახიობს აერთიანებს.

ანსამბლის დამაარსებლის ა. ვ. ალექსანდროვის გარდაცვალების შემდეგ კოლექტივს მხატვრულ ხელმძღვანელობას უწევს მისი შვილი რსფსრ სახალხო არტისტი ბორის ალექსანდროვი, ხოლო მეორე შვილი — ვლადიმერი (რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) ორკესტრის ხელმძღვანელი და დირიჟორია. ანსამბლის მთავარი ხორმეისტერია რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. ვინოგრადოვი, რომელსაც თანაშემწეობას უწევს ნიჭიერი მზარდი შემოქმედი ვ. სამსონენკო.

გუნდის მიერ კონცერტებზე დიდი წარმატებით იქნა შესრულებული ა. ვ. ალექსანდროვის „სიმღერა ხაბჭოთა არმიაზე“, სოლოვეოოვ-სედოის ჯარისკაცთა სამწყობრო სიმღერა „გზაში“, ს. ტულიკოვის „სიმღერა ლენინზე“ (სოლისტი ა. კუსლეევი) და სხვ. რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. სერგეევმა ჩინებულად შეასრულა რუსული ხალხური სიმღერა „დუბინუშკა“ და „ცანგალას კუპლეტები“ ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“, ხოლო რსფს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა კ. გერასიმოვმა — რუსული ხალხური სიმღერა „ვარიაგ“ და „ტორეადორის კუპლეტები“ ბიზეს ოპერა „კარმენიდან“. გუნდთან ერთად შესრულებულ სიმღერებში წარმატება ხვდათ სოლისტებს — ლატვიის სსრ დამსახურებულ არტისტს ვ. გორლანოვს, ა. პეჩკუროვს, ი. აბრამოვს, ი. ბუკრეევს, რსფსრ დამსახურებულ არტისტს ი. სავჩუკს, ე. ბელიაევს და სხვ.

მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა შესრულებულმა ცეკვებმა — „რუსული ცეკვა“, „დასვენებაზე“, „ჯარისკაცთა ცეკვა“ და სხვ. მოცეკვავენი (ნ. ლუგოვოი, ვ. ტიხოვსკი, ი. ვოლგინი, ვ. ეუკოვი, ვ. სოლოვეოვი, ბ. იელინი და სხვ.) ბრწყინვალედ ფლობენ ცეკვის ტექნიკას.

კონცერტის დამთავრების შემდეგ თბილისელ მაყურებელთა და ხაბჭოთა არმიის წარმომადგენლებმა სტუმრებს მიართვეს ცოცხალი ყვავილები.

ბ. აბესაძე.

* * *

სურათზე: წითელდროშოვანი ანსამბლის გამოსვლა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ამიერკავკასიის პირველი თეატრალური გაზაფხული

1 ივნისს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში თბილისში იწყება „ამიერკავკასიის პირველი თეატრალური გაზაფხული“, რომლის მიზანია სამი რესპუბლიკის წამყვანი ეროვნული თეატრების მიერ თანამედროვე თემებზე დადგმული საუკეთესო სპექტაკლების ჩვენება. „თეატრალურ გაზაფხულში“ სომხეთის სს რესპუბლიკიდან მონაწილეობს ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკიდან ბაქოს მ. აზიზბეკოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკიდან რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი.

სპექტაკლები გაიმართება რუსთაველის სახელობის თეატრში. აქ 1 და 2 ივნისს ერევნის დრამატული თეატრი უჩვენებს ნ. ზარიანის კომედიას „საცდელი მინდორი“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა მოსკოვში გამართულ სომხეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე. სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. აჭემიანი. მხატვრული გაფორმების ავტორია ს. არუტჩიანი.

3 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრი მაყურებელს უჩვენებს კ. ბუაჩიძის კომედიას „უზონი ავი ძაღლია“ (დადგმელი — გ. პატარაია, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ფ. ლაპაიშვილი, კომპოზიტორი ბ. კვირნაძე). 4-5 ივნისს აზერბაიჯანელი სტუმრები წარმოადგენენ ე. მამედხანლის კომედიას „შორვანის ტურფა“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ტ. კაზიმოვუნდურს, მხატვარია აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. აფგანლი, მუსიკის ავტორია კომპოზიტორი ტ. ყულიევი.

სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ სამივე თეატრის, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები, ისე ახალგაზრდა მსახიობები.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დ ღ ე ს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — კარმენი, **რუსთაველის სახელობის** — ბორის გოდუნოვი (ახალი სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — რიჩარდ მესამე, **გრიბოედოვის სახელობის** — დაგვიანებული სიყვარული, **მუსიკალური კომედიის** — დალი, **სომხური დრამის** — სამველი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უდანაშაულო დამნაშავენი (აბონემენტი № 40, 12 ს.), სახიფათო მიჯნასთან (აბონემენტი № 20, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — ბებია დარეჯანის ზღაპრები (12 ს.), ნუკრი (3 ს.), **ფილარმონია** — ესტონეთის სსრ სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ორკესტრის კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.), სიმფონიური კონცერტი ანდრეშ კოროდის (უნგრეთი) მონაწილეობით (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, საქართველო (წითელი დარბაზი), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, კინოფარების ბაღი** — მღერის ივ მონტანი, **ამირანი** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, დიდუბე** (საზამთრო) — ცხოვრების საგზური, **ისანი** (საზამთრო), **თბილისი, კომკავშირელი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობისა და ვაკის პარკები** — განუმეორებელი გაზაფხული, **ისანი** (საზაფხულო) — ოტელო, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლმეურნე** — ილია მურომეცი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ბაში-აჩუკი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ვინ არის დამნაშავე.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 20 ივნისს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სერგო გიორგის-ძე კობალაძე

დაიცავს დისერტაციას **თემაზე: „Сравнительные данные о механизме действия периплоцина и сока обвойника, как сердечных средств (экспер. и клин. оценка)“.**

მსურველნი შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

მეუღლე ოლია, შვილები შამილ, სერგო, ეკატერინე, ციცინო, რძლები ნადია, ლამარა, სიძე რ. მახარაძე ოჯახებით იუწყებიან

ზაქარია გრიგოლის-ძე დალაქიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-V, 5 ს. დაბა კასპში.

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის დირექტორის

რაუდენ გაბრიელის-ძე ქავჯაიას

გარდაცვალებას.

თბილისის სასადილოების პირველი ტრესტის დირექცია და ქსელის მუშაკები იუწყებიან ამავე ტრესტის თანამშრომლის

ვასილ ივანეს-ძე ხაუმიას

გარდაცვალებას.

შვილები როზა, გიორგი კვარაცხელიები, რძალი ვერა ბერულავა, სიძე კ. აბაშიძე შვილებით იუწყებიან

გიორგი კონსტანტინეს-ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VI სოფ. ილორში (ოჩამჩირის რ.).

მშობლები ვერა, იოსებ, ძმა ვახტანგ ქოქიაშვილები იუწყებიან

ლადო იოსების-ძე ქოქიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30, 31-V და I-VI, 8 ს. გამოსვენება 2-VI, 4 ს. აღ. ჰაგეპაძის ქ. № 5.

მამა არჩილ, და ფისო, ბებია პოპინა იუწყებიან

ნანა არჩილის ასულ კალმახელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-V, 5 ს. ქ. ონში, გამოსვენება ბინიდან, მახარაძის ქ. № 23.

კასპის ქართული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება

ლალი ალექსანდრეს ასულ შუაქრიშვილი-კოტეტიშვილის

გარდაცვალებას.

მეუღლე იაგორ, შვილები ესე, დიმიტრი, აკაკი, მიტო, რძლები ოლია, ქეთო, ტატიანა შვილებით იუწყებიან

ანასტასია პავლეს ასულ კალანდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-V სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რ.).

შვილები ვალიკო, კონდრატე, ნინო, რახიელ, სიძე დ. კალანდაძე ოჯახებით იუწყებიან

მაშო გიორგის ასულ ლორიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-V სოფ. ქვაყუდეში (სამტრედიის რ.).

მეუღლე ანასტასია, შვილები დავით, აპოლონ, ელენე, ბაბუცა, რძლები ფენია, ელენე, სიძე ბ. ჭაჭიაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ნოე კაციას-ძე კუხიანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-V, 6 ს. ქ. ზესტაფონში, გამოსვენება ბინიდან, წერეთლის ქ. № 9.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო იუწყება მახარაძის სახელმწიფო თეატრის მსახიობის, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის

სამსონ ესეს-ძე ხურციძის

გარდაცვალებას.